GCL

TEL: 555 21 66 22

საქართველო, ქ. თბილისი

29.07.2020 წ.
N07/29-02

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

შპს ჯი ს ელ"-ის (405372252) დირექტორის
ჰასან თაჰსინ ჯენევიზის
მის: ქ. თბილისი, გუდაუთის ქ. N7

განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებეთ, რომ შპს „ჯი სი ელ"-ი გეგმავს თბილისში, გუდაუთის ქ. N7 სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების (ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების და ნარჩენი კაბელების) წინასწარი დამუშავების ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციას.
დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის 10.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება) და ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. თუმცა, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე 13-ე ნაწილის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება.
შესაბამისად წარმოგიდგენთ სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს დასკვნას.
სკოპინგის ანგარიშს თან ერთვის:

1. შპს „ჯი სი ელ"-ის სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების (ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების და ნარჩენი კაბელების) წინასწარი დამუშავების ობიექტის სკოპინგის ანგარიშს. 1 ნაბეჭდი ვერსია და ელექტრონული ვერსია CD დისკზე;
2. საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS კოორდინატები, shape ფაილის სახით;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს ჯი სი ელ-ის რეგისტრაციის შესახებ;
4. იჯარის ხელშეკრულება.

პატივისცემით,

ჰასან თაჰსინ ჯენევიზ
შპს „ჯი სი ელ"-ის დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 11829
"29" 07 2020
1/28 ფ.
03

ქ.თბილისი, გუდაუთის ქ.№ 7

info@glc.ge